თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2057676

ნომერი: AR1327709

თარიღი : 24.07.2015

გაცემის თარიღი : 10.08.2015

გაცნობის თარიღი : 10.08.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , II შესახვევი N2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე გიორგაძე პ/ნ 01005019470
- თბილისი რ.აგლაძის ქ. N 37 ბ. 26

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.07.2015 წლის #1997370 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახების თაობაზე
ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა კონსტანტინე გიორგაძის 24.07.2015 წლის AR1327709 განცხადება, რომლითაც მოითხოვა ამავე სამსახურის 08.07.2015 წლის #1997370

ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა 08.07.2015 წლის #1997370 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, შატბერაშვილის ქუჩა, II შესახვევი #2, შპს ,,ჯორჯთაუნ"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, შეითანხმა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გასცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 08 ივლისიდან 2017 წლის 08 ივლისის ჩათვლით.
დღეისათვის განმცხადებელი განცხადებით აფიქსირებს, რომ აღნიშნული პროექტი მანამდე შეთანხმებული არ ყოფილა, შესაბამისად ვერ იქნება კორექტირებული და ითხოვს ბრძანებაში შესაბამისი ტექნიკური ხარვეზის გასწორებას.
დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინდა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია და 08.07.2015 წლის #1997370 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, შატბერაშვილის ქუჩა, II შესახვევი #2, შპს ,,ჯორჯთაუნ"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.
ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 96-ე მუხლების შესაბამისად,
ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს კონსტანტინე გიორგაძის 24.07.2015 წლის AR1327709 განცხადება;
2. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.07.2015 წლის #1997370 ბრძანებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „1. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, შატბერაშვილის ქუჩა, II შესახვევი #2, შპს ,,ჯორჯთაუნ"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.“;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.07.2015 წლის #1997370 ბრძანებასთან ერთად;
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.